# ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი №4

თარიღი: 13.12.2017წ.
საათი: 17:00 ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი#2

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. თამარ ტალიაშვილი;
2. ვლადიმერ მნელაძე;
3. ნინო ლაცაბიძე;
4. გიორგი დოხტურიშვილი;
5. ოთარ გრიგოლია;
6. ლილე ლიპარტელიანი;
7. დავით ქლენტი.

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი - გელა ჩივიაშვილი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ"

(08.12.2017. №12-031734272-03)

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება #2-1, თავი III – საკრებულოს კომისიები, მუხლი 23 ის შესაბამისად კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის არჩევა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხირხიძე.

მომხსენებელი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი.

გიორგი ხირხიძე - მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა. კომისიის წევრებს და მოწვეულ სტუმრებს წარმოუდგინა ქვორუმი და გააცნო დღისწესრიგით წარმოდგენილი საკითხები.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

გიორგი ხირხიძე დღისწესრიგით წარმოდგენილი პირველ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ (კოდი 06 01 02) დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამას დაემატა ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სკრინინგი რომელიც მოიცავს ულტრაბგერით გამოკვლევას და ენდოკრინოლოგის კონსულტაციას, საჭიროების შემთხვევაში სისხლის თირეოტროპული ჰორმონის გამოკვლევას ან/და ხიოფსიური მასალის აღებას და ციტოლოგიურ კვლევას. ქვეპროგრამის მიზანია: სამიზნე პოპულაციაში კიბოს ადრეული გამოვლენის მაჩვენებლის შემცირების გზით, კიბოთი გამოწვეული ავადობისა და სიკვდილიანობის შემცირება.
(კოდი 06 01 13) ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამას დაემატა ღვიძლის ტრანსპლანტაციის კომპონენტი, რომელიც მოიცავს ღვიძლის დაავადებების მქონე პირებისათვის ღვიძლის ტრანსპლანტაციის დაფინანსებას. ღვიძლის ტრანსპლანტაცია შესაბამისი დაავადებების მქონე პაციენტებისათვის ხშირად გადარჩენის ალტერნატივო მეთოდს წარმოადგენს. ქვეპროგრამის მიზანია: ონკოჰემატოლოგიური და ღვიძლის დაავადებების მქონე პირებისათვის, რომლებიც საჭიროებენ ღვიძლის ტრანსპლანტაციას, ოპერაციული მკურნალობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
მომხსენებელს, გელა ჩივიაშვილს გადასცა სიტყვა.

გელა ჩივიაშვილი - ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა განისაზღვრა-189 539,5 ათასი ლარით.
პრიორიტეტის ფარგლებში ჯანდაცვის პროგრამისათვის განსაზღვრულია 47 694,0 ათასი ლარი, მათ შორის:

გრძელდება „ც" ჰეპატიტის დიაგნოსტიკის, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება და ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამები. გაზრდილი ოდენობებით არის ასევე წარმოდგენილი აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია. სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებების პროგრამა დაგეგმილია 31 994,9 ათასი ლარის ოდენობით, სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებები რაიონებში 18 500,0 მლნ ლარია, მათ შორის, გლდანის რაიონში - 2 000,0 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონში - 2 400,0 ათასი ლარი, დიდუბის რაიონში - 1 700,0 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონში 1 575,0 ათასი ლარი, ვაკის რაიონში - 2 000,0 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონში - 2 025,0 ათასი ლარი, ისნის რაიონში - 1 625,0 ათასი ლარი,

სამგორის რაიონში - 2 200,0 ათასი ლარი, კრწანისის რაიონში - 1 175,0 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონში - 1 500,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამა (კოდი 06 02 08) „ყრუ ინვალიდთათვის თარჯიმან დაქტილოლოგების მომსახურების უზრუნველყოფა" გადავიდა (კოდი 06 02 28) „შეზღუდული შესაძლებლობის პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის" ქვეპროგრამაში.

გიორგი ბირბიჩაძე - ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია 2017 წლის 13 დეკემბრის სხდომაზე დადგენილების პროექტის შესწავლისა და სამართლებრივი საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურზე მიკუთვნებული ქვეპროგრამების განხორციელების წესები და პირობები მტკიცდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტით. შესაბამისად, ამოღებული უნდა იქნას:
1. წარმოდგენილი დადგენილების პროექტის თავი VII, მუხლი-19-ში არსებული ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურზე მიკუთვნებული ქვეპროგრამების განხორციელების წესები და პირობები მტკიცდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ.
2. ზემოთ აღნიშნული მიზეზის გამო და ბიუჯეტის მუხლების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ასევე ამოღებული უნდა იქნას V თავის, მუხლი 13-ით განსაზღვრული ჯანმრთელობის დაცვის (კოდი: 06 01) და სოციალური დაცვის (კოდი: 06 02) ქვეპროგრამების ჩანაწერიდან „დახმარების გაცემის წესი განსაზღვრული იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით" ნორმატიული აქტებით მიღებული ქვეპროგრამებიდან.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურზე მიკუთვნებული ქვეპროგრამების განხორციელების წესებს და პირობებს კვლავ დაამტკიცებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ნორმატიული აქტით (დადგენილებით). კერძოდ, 2018 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულ ყველა ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამას:

| | |
|---|---|
| 06 01 02 | დაავადებათა სკრინინგი |
| 06 01 08 | ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება |
| 06 01 06 | აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია |
| 06 01 12 | „C" ჰეპატიტის დიაგნოსტიკა |
| 06 01 13 | ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია |

06 01 03 გადამადებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი

06 01 07 ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება

ასევე, სოციალური დაცვის შემდეგი ქვეპროგრამები:

06 02 09, 06 02 11, 06 02 16, 06 02 02, 06 02 06, 06 02 03, 06 02 22, 06 02 24, 06 02 25, 06 02 26, 06 02 28, 06 02 05

გიორგი ბირბიჩაძის განცხადებას დაეთანხმა კომისიის შემადგენლობის სრული უმრავლესობა და აღნიშნეს, რომ ჩანაწერი „დახმარების გაცემის წესი განსაზღვრული იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით“ ეწინააღმდეგება კანონს.

კომისია კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა.

გიორგი ბირბიჩაძე ,,c'' ჰეპატიტის დიაგნოსტიკასთან დაკავშირებით;

გელა ჩივიაშვილი - პირველადი კვლევის ჩასატარებლად სოციალურად დაუცველ მოსახლეობას მაინც უხდებოდა 110 ლარის გადახდა, რაც ამჟამად მოხსნილია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ;

ლადო მხელაძე - ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების შემცირებასთან დაკავშირებით;

გელა ჩივიაშვილი არამეტასტაზური ძუძუს კიბოს მედიკამენტების დაფინანსებამ შეამცირა მეტასტაზური ძუძუს კიბოს სტატისტიკა და თანხის შემცირების გამომწვევი მიზეზი გახდა;

ლადო მნელაძე - ღვიძლის ტრანსპლანტაციასთან დაკავშირებით;

გელა ჩივიაშვილი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდება საქართველოში ჩატარებული ოპერაციები რომლის განმახორციელებლები იქნებიან კლინიკები „აიერსი“ და „ქვექსი“.

ლადო მნელაძე - დონორების შერჩევასთან დაკავშირებით ღვიძლის ტრანსპლანტაციის შემთხვევაში;

გელა ჩივიაშვილი - დონორები შეირჩევიან ან ოჯახის წევრებიდან ან ბანკიდან.

თათა ტალიაშვილი - ღვიძლის ტრანსპლანტაციის რეგიონში განფასებასთან დაკავშირებით;

გელა ჩივიაშვილი - რეგიონში ყველაზე დაბალი ფასი გვაქვს;

ლადო მნელაძე ღვიძლის ტრანსპლანტაციის შემდგომ რეაბილიტაციასთან დაკავშირებით;

გელა ჩივიაშვილი რეაბილიტაცია არის საძი თვე, რომელიც ინდივიდუალურად შეგვიძლია დავაფინანსოთ, მთლიანობაში ერთი წელი გრძელდება.

ლილე ლიპარტელიანი აღნიშნა რომ, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის შემცირების გამო მოხდა ბიუჯეტში თანხის შემცირება. სოციალურად დაუცველთა რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში დაფინანსდება თუ არა მათი კომუნალური ვაუჩერი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტით;

გელა ჩივიაშვილი - სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გაზრდის შემთხვევაში, ყველა მოქალაქე რომელსაც ეკუთვნის კომუნალური ვაუჩერი აუცილებლად დაფინანსდება ბენეფიციართა რაოდენობა გაიზრდება ბიუჯეტიც;

დავით ჟღენტი - აუტიზმის პროგრამასთან დაკავშირებით;

გელა ჩივიაშვილი - 2018 წელს პროგრამაში შევა ცვლილებები, რის მიხედვითაც დაწესებულების შეცვლის შემთხვევაში აღარ იქნება საჭირო თავიდან რიგში ჩადგომა, შესაძლებელი იქნება გაცვლა მშობლების შეთანხმებით. სუპერვაიზერებს ჯგუფში ყავთ 30 ბავშვი, ამ რაოდენობაზე მეტი ბავშვი არ შეიძლება იყოს ჯგუფში ეფექტიანობის გამო. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს გაიდლაინებზე და პროგრამის განვითარებაზე, რათა პროგრამა დაინერგოს იმ რეგიონებშიც რომლებსაც არ აქვს;

თათა ტალიაშვილი - თვლის, რომ ჯანდაცვის პროგრამები, რომლებიც აქვს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს აუცილებლად უნდა დაინერგოს რეგიონებშიც;

გიორგი ბირბიჩაძე - თვლის რომ, პროგრამებში მკაფიოდ არის განსასაზღვრი მიზნობრიობა;

გელა ჩივიაშვილი - 2018 წლის განმავლობაში წარმოგიდგენთ შესაძლო ვარიანტებს, განვიხილოთ და შევაჯეროთ;

სოსო ლაცაბიძე - დაინტერესდა აუტიზმის პროგრამის მიმწოდებელთა კვალიფიკაციით;

გელა ჩივიაშვილი - ყველა ქცევითი თერაპევტი არის დატრენინგებული ამერიკის შეერთებულ შტატებში, აქვთ ტრენერების სერთიფიკატიც და შეუძლიათ გადაამზადონ ის მსურველები, რომელთა კვალიფიკაციაც აკმაყოფილებს მოთხოვნას;

დავით გრიგოლია - დაინტერესდა ვაუჩერულია თუ არა აუტიზმის პროგრამა;

გელა ჩივიაშვილი - უპასუხა რომ 2017 წლიდან ყველა პროგრამა არის ვაუჩერული.
ლილე ლიპარტელიანი - გამოთქვა უკმაყოფილება უფასო მგზავრობასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ მათი რეკომენდაცია არ იქნა გათვალისწინებული 2018 წლის ბიუჯეტში.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა პირველი საკითხი:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 2

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ბირბიჩაძემ კომისიას გააცნო დღის წესრიგით წარმოდგენილი მეორე საკითხი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება #2-1, თავი III, მუხლი 23-ის შესაბამისად კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის არჩევა და წარმოადგინა გიორგი დოხტურიშვილის კანდიდატურა.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეორე საკითხი საკითხი:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

დაადგინეს:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, განხილულ იქნას ბიუროზე და საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე